განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა მონიავა

წევრ(ებ)ი:

მაკა ტუკვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----ნ. მონიავა----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

Maka Tukvadze 01019028119 Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2023.06.02 20:21:43

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220389559

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	ქ.ზუგდიდი ცაიშვილის ქ.N32
ფაქტობრივი მისამართი	ქ.ზუგდიდი ცაიშვილის ქ.N32
საფოსტო ინდექსი	2100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.gg-school.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gg.zugdidi@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	558 111 888

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 0 23 0000394820 07/04/2023
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	11-12/04/2023

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 7 აპრილის MES 0 23 0000394820 ბრძანების საფუძველზე შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი-ში 2023 წლის 11 და 12 აპრილს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა.

მონიტორინგის პროცესში ექსპერტების მიერ შესწავლილი იყო დაწესებულებაში არსებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მტკიცებულებები. გასაუბრება შედგა გიმნაზიის დირექტორთან, დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	184

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სკოლისა გამორჩეულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს გაცვლითი პროგრამები, სხვადასხვა ქვეყნების სკოლებთან ურთიერთთანამშრომლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას არა აქვს შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა . სამედიცინო კაბინეტში არ არსებობს ბუნებრივი განათების წყარო.
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	„უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“-ს დებულებაში არ არის გათვალისწინებული სსიპ მანდატურის სამსახურის რეკომენდაცია მოსწავლის მიმართ განხორციელებული მოსწავლის ან/და ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების ვალდებულების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	გიმნაზიას ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად არა აქვს შემუშავებული შესაბამისი მექანიზმები.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები სრულყოფილად არ მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. მარეგულირებელ დოკუმენტებში არ ჩანს მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის წესები და პირობები, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები. შინაგანაწესში გაწერილია მხოლოდ დისციპლინური საქმისწარმოება და არ გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. რამდენადაც გიმნაზიაში დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი ზომაა „სკოლიდან გარიცხვა“, არ ჩანს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, რომ სკოლიდან გარიცხვის შემთხვევაში სხვა სკოლაში გადასვლის შესაძლებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		თაობაზე.
ინდიკატორი 4.1.1.2	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;	სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ არ არის გამჭვირვალე. მაგალითად, შინაგანაწესის ზოგიერთი საკითხი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გამჭვირვალეობის პრინციპი დარღვეულია დისციპლინური საქმისწარმოების დროს. მოსწავლეს შეეფარდა ისეთი დისციპლინური სახდელი, რომელიც სკოლას განსაზღვრული არ აქვს-,,5 დღით სასწავლო პროცესს ჩამოშორება“. ასევე არ ჩანს რომელი დისციპლინური გადაცდომის დროს რა სახდელია განსაზღვრული.
ინდიკატორი 4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ არის მკაფიო და გამჭვირვალე. მაგალითად, ხელშეკრულება არეგულირებს სწავლის ღირებულების ანგარიშსწორების პირობებს და ვადებს, მათ შორის, სწავლის ღირებულების ვადაგადაცილების შემთხვევას. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულია მხოლოდ სკოლის უფლებები და არაფერია ნათქვამი კერძო სკოლის ვალდებულებებზე ფინანსური დავალიანების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		შემთხვევაში მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისას.
ინდიკატორი 4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	არ არის შემუშავებული მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები და პირობები.
ინდიკატორი 4.1.2.4	სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.	სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან მოყვანას, შესაძლებელია გაცემული ინფორმაცია იყოს არასწორი და/ან საჭიროებდეს დაზუსტებას.

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*დაწესებულებამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, მონაცემთა დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N 3.4.1.7	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*	*უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის დადგენის მიზნით სკოლამ გამოიყენოს მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.1.2.3	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებული ყველა თემატური ბლოკის მუშაობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	
ინდიკატორი N4.2.1.1	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*	*დაწესებულებამ შეიმუშაოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი ერთ დოკუმენტად, რათა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გაუადვილდეს მისი როლის დანახვა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. სასურველია გიმნაზიის მიერ გათვალისწინებული გათვალისწინებული იყოს ახალი მოსწავლის (ნებისმიერი კლასის) სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ ვინ და რა პროცედურები უნდა განახორციელოს, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს ახალ გარემოში ადაპტირება.*
ინდიკატორი N4.2.2.3	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული*	*დაწესებულებამ აღნიშნული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით მოახდინოს მომსახურების შეფასება(გამოკითხვები მშობლების,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	მომსახურების შეფასების შედეგებს.	*მასწავლებლების, მოსწავლეების), რათა პროცესებში გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

წინა ვიზიტის დროს „დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მოახდინოს ცვლილებები - უზრუნველყოს საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის განკუთვნილი ვალდებულებების კორექტირება, ,,ხელშეკრულების საგანში“ მითითებულ იქნას პედაგოგის სტატუსი“.

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო, თანამშრომლებთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებაში პედაგოგების ვალდებულებებში შეტანილი იყო შესაბამისი ცვლილება.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

*დაწესებულებამ **3.4.1.1** ინდიკატორთან მიმართებით არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისი ხარვეზის (სკოლას არა აქვს შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სამედიცინო კაბინეტში არ არსებობს ბუნებრივი განათების წყარო.) გამოსწორების აქტივობები, შესაბამისობის გეგმაში გაითვალისწინა გონივრული ვადები. სამედიცინო კაბინეტი გადატანილია სხვა სივრცეში და უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, საგადახდო დავალება. (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N2).*

***3.4.1.2** ინდიკატორთან მიმართებით გამოვლენილი ხარვეზთან („უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“-ს დებულებაში არ არის გათვალისწინებული სსიპ მანდატურის სამსახურის რეკომენდაცია მოსწავლის მიმართ განხორციელებული მოსწავლის ან/და ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების ვალდებულების შესახებ.) დაკავშირებით დაწესებულებამ შეიტანა წესში ცვლილება და გადააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად. შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულია გონივრული ვადები პროცედურების გასავლელად.(არგუმენტირებული პოზიციის დანართი N4).*

***3.4.1.3** ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზის (გიმნაზიას ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად არა აქვს შემუშავებული შესაბამისი მექანიზმები.) აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ შეიმუშავა ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები. გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნების შესაბამისად აიყვანა სკოლის ფსიქოლოგი და გააფორმა ხელშეკრულება. (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N5).*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.1.1.1 *ინდიკატორით დაფიქსირებული ხარვეზის (დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები სრულყოფილად არ მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.) მოსაწესრიგებლად დაწესებულებამ შეიმუშავა „შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი-ში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (გიმნაზიის დირექტორის 22 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებული).(არგუმენტირებული პოზიციის დანართი N6). ამავე ინდიკატორით დაფიქსირებული იყო, რომ შინაგანაწესში გაწერილია მხოლოდ დისციპლინური საქმისწარმოება და არ გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. რამდენადაც გიმნაზიაში დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი ზომაა „სკოლიდან გარიცხვა“, არ ჩანს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, რომ სკოლიდან გარიცხვის შემთხვევაში სხვა სკოლაში გადასვლის შესაძლებლობის თაობაზე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გათვალისწინებული იქნა ექსპერტების პოზიცია. შინაგანაწესში შეტანილია ცვლილებები „სკოლიდან გარიცხვის“ შესახებ, წახალისებისა და პასუხისმგებლობების სახეები და მათი გამოყენების წესები. ცვლილება შინაგანაწესში განხორციელებულია და დამტკიცებულია გიმნაზიის დირექტორის 2023წლის 22 მაისის N04/25 ბრძანებით (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N7).*

4.1.1.2 *ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ არ არის გამჭვირვალე. მაგალითად, შინაგანაწესის ზოგიერთი საკითხი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გამჭვირვალეობის პრინციპი დარღვეულია დისციპლინური საქმისწარმოების დროს. მოსწავლეს შეეფარდა ისეთი დისციპლინური სახდელი, რომელიც სკოლას განსაზღვრული არ აქვს-,,5 დღით სასწავლო პროცესს ჩამოშორება“. ასევე არ ჩანს რომელი დისციპლინური გადაცდომის დროს რა სახდელია განსაზღვრული.) აღმოსაფხვრელად სკოლის შინაგანაწესში*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს ამ ინდიკატორის შესაბამისობას. ცვლილება შინაგანაწესში განხორციელებულია და დამტკიცებულია გიმნაზიის დირექტორის 2023წლის 22 მაისის N04/25 ბრძანებით (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N7).

4.1.1.3 *ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ არის მკაფიო და გამჭვირვალე. მაგალითად, ხელშეკრულება არეგულირებს სწავლის ღირებულების ანგარიშსწორების პირობებს და ვადებს, მათ შორის, სწავლის ღირებულების ვადაგადაცილების შემთხვევას. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულია მხოლოდ სკოლის უფლებები და არაფერია ნათქვამი კერძო სკოლის ვალდებულებებზე ფინანსური დავალიანების შემთხვევაში მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისას) აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ შეიმუშავა „შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი-ში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (გიმნაზიის დირექტორის 22 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებული).(არგუმენტირებული პოზიციის დანართი N6).*

4.1.2.1 *ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (არ არის შემუშავებული მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები და პირობები) მოსაწესრიგებლად დაწესებულებამ შეიმუშავა ,,შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი-ში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (გიმნაზიის დირექტორის 22 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებული).(არგუმენტირებული პოზიციის დანართი N6).*

4.1.2.4 *ინდიკატორით დაფიქსირებული ხარვეზის (სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან მოყვანას, შესაძლებელია გაცემული ინფორმაცია იყოს არასწორი და/ან საჭიროებდეს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაზუსტებას) აღმოსაფხვრელად განახორციელა ცვლილებები არსებულ დოკუმენტაციაში. ასევე სკოლის ვებგვერდზე ყველა თემატური ბლოკი გააქტიურებულია.

გარდა ხარვეზებისა სკოლამ ასევე გაითვალისწინა არასავალდებულო ტიპის რჩევები და განახორციელა შესაბამისი აქტივობები. შეიმუშავა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“ და „მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი“, განახორციელა მშობელთა გამოკითხვები უსაფრთხოების მექანიზმების დასადგენად, ვებ-გვერდზე განათავსა დოკუმენტაცია და გააქტიურა ყველა თემატური ბლოკი, შეიმუშავა „მომსახურების კმაყოფილების კვლევის კითხვარები“ და განახორციელა გამოკითხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III და IV სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

   სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერები უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის კონტროლს, რომელზეც პასუხისმგებელია გიმნაზიის დაცვის თანამშრომელი.
- გიმნაზიის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამართულ მუშაობას აკონტროლებს სკოლის ტექნიკური მენეჯერი, რომელიც ფლობს „სახანძრო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფის რისკების შემცირების შესახებ“ ტრენინგის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე არის ,,შრომის უსაფრთხოების მომზადების“ აკრედიტებული პროგრამის მსმენელი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.
- სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს (01-04/6; 2017წლის 1 თებერვალი) საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის სამოქმედო გეგმა, თუმცა **დოკუმენტი შეთანხმებული არ არის** **შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან.**
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით, დაწესებულების ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, საევაკუაციო გასასვლელის მანიშნებლები და 25 ცეცხლმაქრი. გიმნაზიამ წარმოადგინა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს უფროსის კორესპონდენცია მასზე, რომ - „გიმნაზიის შენობისთვის შედგენილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების, სახანძრო სიგნალიზაციის და ევაკუაციის მართვის პროექტები, შეესაბამება სამშენებლო ნორმებს და წესებს, ასევე ტექნიკურ რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. თუმცა **სამედიცინო კაბინეტს არ აქვს ბუნებრივი განათება.** რაც მოთხოვნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით (დანართი 2. მუხლი 3. მოთხოვნები სამედიცინო კაბინეტის მოწყობისადმი, პუნქტი 2.) გიმნაზიის დებულებით დაწესებულების სამედიცინო პერსონალს წარმოადგენს -ექიმი, რაც ასევე დასტურდება მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool - ის მონაცემებით. სკოლის დირექტორის განმარტებით აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულ პირი არის დიპლომირებული ექიმი, თუმცა არ ფლობს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის. შესაბამისი კადრის მოძიებამდე აღნიშნულ პირთან გაფორმებულია ექთნის შრომითი ხელშეკრულება. სკოლას ორჯერ გამოცხადებული აქვს ვაკანსია ექიმის პოზიციაზე.
- მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი რეგულირდება გიმნაზიის დებულებით, შინაგანაწესით და ტუტორ - დამრიგებელთა მუშაობის დებულებით. სკოლაში დაუშვებელია მოსწავლის გაკვეთილებიდან გათავისუფლება გიმნაზიის დირექტორის ან/და სასწავლო ნაწილის თანხმობის გარეშე, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ტუტორ-დამრიგებლის ვალდებულებაა, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება, ასევე მოსწავლის მიერ სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მშობელთან კომუნიკაციით გაარკვიოს გაცდენის მიზეზი. აღნიშნული წესების ქმედითობა დაადასტურეს გიმნაზიის მშობლებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორთან მიმართებით არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ხარვეზის (სკოლას არა აქვს შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სამედიცინო კაბინეტში არ არსებობს ბუნებრივი განათების წყარო.) გამოსწორების აქტივობები, შესაბამისობის გეგმაში გაითვალისწინა გონივრული ვადები. სამედიცინო კაბინეტი გადატანილია სხვა სივრცეში და უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, საგადახდო დავალება. (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N2).

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შედეგად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“, რომელიც გიმნაზიას შესათანხმებლად გაგზავნილი ჰქონდა საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეცნიერების სამინისტროში. საპასუხო წერილი დაწესებულებამ მიიღო სსიპ მანდატურის სამსახურიდან (სარეკომენდაციო წერილი 13/02/2023; MES 4 23 0000167244) სადაც წერია --,,სკოლა ვალდებულია, მყისიერად მოახდინოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, მოსწავლის მიმართ განხორციელებული მოსწავლის ან/და ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში.“ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა დაწესებულებამ მომხდარი ინციდენტის დროს, რაც გახდა მშობლის გაღიზიანების მიზეზი და საქმის გამოკვლევის მიზნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. მშობლის წერილში ნათქვამია, მის შვილს ნ.ნ-ს, რომელიც არის მე-11 კლასის მოსწავლე, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ამავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა, რაც ნ.ნ-სთვის მიუღებელი იყო და მიმართა დამრიგებელს. დამრიგებელმა საკითხის გარკვევის მიზნით, ინციდენტში მონაწილე მოსწავლეები დირექტორთან ჩაიყვანა. ნ.ნ-სთვის დირექტორის კაბინეტში საუბარი მძიმე აღმოჩნდა და დაეწყო შინაგანი შფოთვა, ამის შემდეგ დირექტორმა ბოდიში მოახდევინა ბავშვს, რომელმაც ნ.ნ-ს შეურაცხყოფა მიაყენა და ყველა ბავშვი გაუშვა კაბინეტიდან. დირექტორი შეეცადა დაემშვიდებინა ნ.ნ და სთხოვა მომხდარის შესახებ არავისთვის მოეყოლა, მათ შორის არც მშობლებისთვის. ნ.ნ-მ ასეთივე რჩევა მიიღო დამრიგებლისგანაც, თუმცა დამრიგებელს უთხრა რომ დედას მომხდარ ფაქტს არ დაუმალავდა. ამ ფაქტის შემდეგ

გიმნაზიამ ინციდეტში მონაწილე ორი მოსწავლეს დააკისრა დისციპლინური სახდელი და 5 დღით ჩამოაშორა სასწავლო პროცესს, თუმცა მსგავსი დისციპლინური სახდელი- 5 დღით სასწავლო პროცესიდან ჩამოშორება- გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული არ არის. შინაგანაწესში ასევე არ ჩანს რომელი დისციპლინური გადაცდომის დროს რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სახდელია გათვალისწინებული, შესაბამისად დარღვეულია დისციპლინური საქმისწარმოების გამჭვირვალობის პრინციპი.

მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ბულინგის პრევენციის მიზნით გიმნაზია ატარებს შესაბამის ღონისძიებებს. თემაზე ,,ოჯახური ძალადობა“ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიქმნა ვიდეორგოლი. ასევე სკოლის დირექტორის ინიციატივით გაკეთდა ვიდეორგოლი ,,არა ბულინგს“. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია ვიზუალური მასალები არაძალადობრივი გარემოს ჩამოყალიბებაზე. სადამრიგებლო პროგრამებიდან და დამრიგებლის ანგარიშებიდან ჩანს, რომ სადამრიგებლო საათზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა, უსაფრთხოება და მოქალაქეობრივი ცნობიერება, პიროვნული და მორალური განვითარება. მე-2 კლასის დამრიგებლის ანგარიშის თანახმად, მოსწავლეებში ცნება-თანაკლასელის გათავისებისა და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით, მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული ქცევის წესები და სათანადო ილუსტრაციები მთელმა კლასმა გამოაკრა საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას. მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასების დამრიგებლის (ამ კლასებს ჰყავს ერთი დამრიგებელი) ანგარიშში ვკითხულობთ- მოსწავლეებში პასუხისმგებლობის, სწორი სოციალური აზროვნების, ტოლერანტობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთდახმარების ჩამოყალიბების მიზნით განხორციელდა ფილმების ("სპილო კაცი", "ილაპარაკე", "ხვალინდელი დღე", "მე სემი ვარ") ერთად ყურება და შემდეგ განხილვა.

აღსანიშნავია, რომ გიმნაზიამ ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“-ს დოკუმენტში, სსიპ მანდატურის სამსახურის რეკომენდაციები გათვალისწინა ვიზიტის პერიოდში და ხელახლა გაგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორთან მიმართებით („უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“-ს დებულებაში არ არის გათვალისწინებული სსიპ მანდატურის სამსახურის რეკომენდაცია მოსწავლის მიმართ განხორციელებული მოსწავლის ან/და ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების ვალდებულების შესახებ) დაწესებულებამ შეიტანა წესში ცვლილება და გადააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად. შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულია გონივრული ვადები პროცედურების გასავლელად. (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N4).

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

მშობლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს სკოლაში ფსიქოლოგის საჭიროებაზე, რასაც ადასტურებს მშობელთა კრების ოქმებიც. დამრიგებლების განმარტებით, მოსწავლეებს უჭირთ გაკვეთილებზე ქცევის რეგულირება. დაწესებულების მცდელობას მოეძია სკოლისთვის ფსიქოლოგი, შედეგი არ მოჰყვა. გიმნაზიამ ასევე უარი მიიღო სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ზუგდიდის ცენტრიდან მომსახურების მიღებაზე, რადგან მაღალი მომართვიანობიდან გამომდინარე, ცენტრი მოკლებულია შესაძლებლობას ჩაერთოს გიმნაზიის ფსიქოსოციალური მომსახურების გრძელვადიან ღონისძიებაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მანდატურის სამსახურის წერილის თანახმად (13 /02/2023; MES 4 23

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

0000167244) დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ,,ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად სკოლაში არსებობდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი“

სკოლაში ხორციელდება ღონისძიებები პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, მაგრამ როგორც ჩანს არ არის საკმარისი, რაზეც მოწმობს სკოლაში მომხდარი ინციდენტი. კერძოდ:

ნ.ნ.-ს მშობელთან გასაუბრების დროს დაფიქსირდა ნ.ნ-ს მძიმე ფსიქოემოციური მდგომარეობა. ოჯახმა შვილები სხვა სკოლაში გადაიყვანა, რადგან თვლის რომ გიმნაზიის დირექცია ვერ უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებისათვის. ყოველივეს, რაც განცხადებაში იყო წარმოდგენილი, მშობელმა გასაუბრების დროსაც დაადასტურა და აქცენტი რამდენიმე საკითხზე გააკეთა:

- მომხდარი ფაქტის შესახებ არ იყო ინფორმირებული (დაუმალეს ფაქტი);
- ბავშვი მტირალი, სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სკოლაში და შინ წასვლის უფლებას არ აძლევდნენ;
- მისი მეორე შვილის კლასში შევიდა მასწავლებელი და გააფრთხილა მოსწავლეები არ ეთქვათ მომხდარი ფაქტის შესახებ მშობლებისათვის;
- გიმნაზიის სხვა მოსწავლეებიც ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისაგან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი არიან, რაც გამოიკვეთა ინტერვიუირებით;
- გიმნაზიას არასდროს უცნობებია მშობლებისთვის გაცდენების შესახებ, ხოლო ინციდენტის შემდეგ, როდესაც ნ.ნ. 2 დღე არ გამოცხადდა სკოლაში, გაფრთხილება მიიღო 30% გაცდენებთან დაკავშირებით, რაც არ იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისობაში რეალურთან (12 აპრილის მდგომარეობით მხოლოდ ისტორიაში ჰქონდა 28% გაცდენების, დანარჩენ საგნებში 2, 5, 9, 10, 11, 14, 16, 18%).

მშობლის წერილიდან ირკვევა, რომ ეს არ არის ერთჯერადი ფაქტი. წერილში საუბარია მეორე მოსწავლეზე, რომელზეც მოსწავლეების მხრიდან განხორციელდა არასათანადო მიმართვა, ხოლო სკოლამ ადეკვატური ქმედებები არ განახორციელა.

აღნიშნულიდან გამომდინარე გავესაუბრეთ თ.წ.-ს მშობელს, რომელმაც დაადასტურა წერილში მოყვანილი ფაქტი. თ.წ.-ს მშობელმა განმარტა, რომ ზოგადად კმაყოფილია სკოლით, მის შვილებს ძალიან უყვართ გიმნაზია, მასწავლებლები, მოსწავლეები. სკოლის მხრიდან ყოველთვის გრძნობს ზრუნვას. თუმცა, როდესაც ერთ-ერთი ინციდენტის დროს მისმა შვილმა გამოთქვა პროტესტი, ნაცვლად მხარდაჭერისა დირექტორის მხრიდან დასამშვიდებლად ნათქვამი იყო, რომ „შეურაცხყოფის შედეგად იმუნიტეტი გამოუმუშავდება“, რაც სამომავლოდ პრობლემების დაძლევაში დაეხმარება. მშობელი თვლის, რომ ასეთი მიდგომა აზიანებს მოზარდს.

ნ.ა.-ს მშობელმა, რომელთანაც მისივე თხოვნის საფუძველზე ინდივიდუალურად მოხდა გასაუბრება, აღნიშნა, რომ თავდაპირველად, შეხვედრაზე მოსვლამდე არ აპირებდა ექსპერტებთან გასაუბრებას. თუმცა ექსპერტებთან შეხვედრამდე გიმნაზიის დირექციასთან და სხვა მშობლებთან შეხვედრის დროს იგი გააღიზიანა ნ.ნ.-ს მშობელთან დაკავშირებულმა საუბარმა ამ პიროვნების დაუსწრებლად, რაც მან შეხვედრაზევე აღნიშნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნ.ა.-ს მშობელმა იკითხა იწერებოდა თუ არა მისი და ჩვენი (ექსპერტების) საუბარი. ჩვენ განვუმარტეთ მას რომ ჩაწერა არ მიმდინარეობდა, თუმცა მან იკითხა, დარწმუნებული ვიყავით თუ არა რომ ოთახში არ არის ჩამწერი საშუალებები (ვიდეო/აუდიო). განმარტების მიუხედავად, მისი დარწმუნება ვერ შევძელით და საუბარი ეზოში განვაგრძეთ.

ექსპერტებთან გასაუბრებისას ნ.ა.-ს მშობელი იხსენებდა, რომ მისი შვილის კლასის მშობელთა კრებაზე მასწავლებლებისაგან მხოლოდ უარყოფით ინფორმაციას ისმენდა მოსწავლეების ქცევისა და სწავლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილი წარჩინებული მოსწავლეა, მას მაინც აღელვებდა კლასის ზოგადი მდგომარეობა. მშობელმა გადაწყვიტა დახმარებოდა მოსწავლეებს, გაეზარდა მოტივაცია და ხელი შეეწყო მათ სასწავლო პროცესში ჩართვაში. მან მიმართა გიმნაზიის დირექციას გაკვეთილებზე დასწრების ნებართვის თაობაზე, რაზეც თანხმობა მიიღო. მშობლისთვის, მისი თქმით, მიუღებელი იყო მასწავლებლების დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი (მასწავლებლები მოსწავლეებს ეუბნებოდნენ რომ არ იციან არაფერი და მაინც ვერ ისწავლიან), და მშობელმა კლასშივე უკმაყოფილება ხმამაღლა გამოხატა კიდეც.

ნ.ა.ს- მშობლის თქმით, მან შესთავაზა მოსწავლეებს, რომ ერთი თვის განმავლობაში შედეგების გაუმჯობესების შემთხვევაში ფულად ჯილდოს მიიღებდნენ, რასაც ერთად დახარჯავდნენ მათი სურვილის მიხედვით. შეთანხმების შემდეგ გააკეთეს მშობლებისა და მოსწავლეების საერთო ჩათი და ყოველდღიურად საუბრობდნენ რა გააკეთეს, რა პრობლემა ჰქონდათ, რა შედეგი მიიღეს. მშობლის სიტყვებით მოსწავლეებმა საკმაოდ მალე გააუმჯობესეს შედეგები, გაუჩნდათ საკუთარი თავის რწმენა. ნ.ა.-ს მშობლის თქმით, მას შემდეგ რაც მისი და ბავშვების ურთიერთობის ამბავი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(რომლის შესახებ ყველა მშობელი ინფორმირებული იყო) დირექციამდე მივიდა, იგი გიმნაზიის დირექტორმა დაიბარა და აუკრძალა ბავშვებთან ურთიერთობა.

ნ.ა.-ს მშობელი იმედს იტოვებს, რომ ექსპერტებთან საუბრის შემდეგ მის შვილს შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები არ შეექმნება.

გიმნაზიის დირექტორმა ვიზიტის შეჯამებისას გვითხრა, რომ დაინახა ჩვენი საუბარი ნ.ა.-ს მშობელთან და განმარტა, რომ ძალიან უკმაყოფილოა მშობლის ქმედებით და არ მიესალმება მისი მხრიდან ფულადი წახალისების ფაქტს, რადგან ეს არაპედაგოგიური მიდგომაა.

ექსპერტების მიერ დასმულ კითხვაზე თუ რის საფუძველზე მისცეს მშობელს გაკვეთილზე დასწრების უფლება, რეგულირდება თუ არა გიმნაზიის რომელიმე დოკუმენტით აღნიშნული საკითხი - პასუხი უარყოფითი იყო.

გიმნაზიის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ უყვართ სკოლა, კომფორტულად გრძნობენ თავს და ჩართულნი არიან ბევრ საინტერესო აქტივობასა და პროექტში. აქვე მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე სხვა მოსწავლის მოსმენა(ნ.წ., ნ.ლ., ე.ქ), რომელიც ძალიან ღელავდა მომხდარის გამო. ერთ-ერთმა მათგანმა იმის გამო, რომ ნ.ნ. გადაიყვანეს სკოლიდან და ვეღარ ჩაერთო დაგეგმილ აქტივობებში, თვითონაც (თ.წ.) უარი თქვა სკოლის მიერ დაგეგმილ პროექტში მონაწილეობაზე. მისი აზრით, მოსწავლე რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა ნ.ნ-ს, არ უნდა ყოფილიყო ჩართული ამ აქტივობებში. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლის დირექტორს უნდა მოეგვარებინა არსებული სიტუაცია ისე, რომ აღნიშნული მოსწავლე არ გადასულიყო სხვა სკოლაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რადგან მისთვის გარდა ამ ინციდენტისა, რომელიც ძალიან დიდი სტრესი იყო, ასევე დიდი სტრესია სხვა სკოლაში გადასვლა.

აღწერილი ფაქტებიდან გამომდინარე ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზის (გიმნაზიას ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად არა აქვს შემუშავებული შესაბამისი მექანიზმები.) აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ შეიმუშავა ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები. გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნების შესაბამისად აიყვანა სკოლის ფსიქოლოგი და გაუფორმა ხელშეკრულება. (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N5).

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ გიმნაზიაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. გიმნაზიის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის ექიმი/ექთანი, რომელიც თვეში ერთხელ (ასევე საჭიროების შემთხვევაში) ახორციელებს გიმნაზიაში სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო და ჰიგიენური ღონისძიებების კოორდინაციას და ინსტრუქტირებას. ყოველდღიურად ახორციელებს კლასების, დერეფნების, სასადილოს და სველი წერტილების სისუფთავის მონიტორინგს. დაწესებულების სისუფთავეზე ზრუნავს გიმნაზიის ორი დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. ყოველი სასწავლო დღის შემდეგ ხდება საკლასო ოთახების განიავებას არანაკლებ 10 წუთის განმავლობაში, განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. სამუშაო თვის მე-2 და მე-4 კვირას ხდება ადმინისტრაციული და სასწავლო ფართის გენერალურ დასუფთავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

   დაწესებულებას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, თუმცა მარეგულირებელი დოკუმენტების გარკვეული პუნქტები განსაზღვრავენ პერსონალური მონაცემების დაცვის წესებსა და პირობებს. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების დროს პირადი ინფორმაციის დაცვის წესს, ასევე „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობების "დებულებით განსაზღვრულია ელექტრონული ინფორმაციის შენახვისა და კონფიდენციალურობის დაცვის წესები და პირობები. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების დანართს წარმოადგენს თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების თაობაზე. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მშობლის თანხმობა შვილის ფოტოსურათის, ვიდეოჩანაწერის განთავსების შესახებ სკოლის ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დაწესებულებას მიეცა რჩევა ცალკე დოკუმენტად შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, მონაცემთა დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

   ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს სკოლის IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობას, გიმნაზიის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას, გიმნაზიის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებას. გიმნაზიის საქმეთა მმართველის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, მისი მოვალეობაა დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის დაარქივება და დაცვა. დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების გაცემაზე პასუხისმგებელი პირები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესების უსაფრთხოების შესაფასებლად სკოლა იყენებს მშობელთა გამოკითხვას. წარმოდგენილი კითხვარის ნიმუშში ერთი საკითხი ეხება გიმნაზიაში უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს არსებობას. მაგალითად გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა სკოლაში ფსიქოლოგის არსებობის აუცილებლობა, რის საფუძველზეც დაწესებულებამ 2023 წლის 20 იანვარს მიმართა N01-02/19 წერილით სსიპ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური სამსახურის ცენტრს, რაზეც 2023 წლის 24 იანვრის MES 6 23 0000066310 წერილით მიიღო განმარტება, რომ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ზუგდიდის ცენტრში მაღალი მიმართვიანობიდან გამომდინარე, ცენტრი გრძელვადიან ღონისძიებაში ჩართვის შესაძლებლობას მოკლებულია. რის შემდეგაც სკოლამ თვითონ გამოაცხადა ფსიქოლოგის ვაკანსია.

როგორც გიმნაზიის დირექტორმა აღნიშნა, მშობელთა გამოკითხვა საშუალებას აძლევს შეაფასონ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და ანალიზის საფუძველზე მოხდეს მყისიერი რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დაწესებულებას მიეცა რჩევა უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის დადგენის მიზნით გამოიყენოს მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გიმნაზიის შინაგანაწესი
2. გიმნაზიის დებულება;
3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
4. სერტიფიკატი-,,სახანძრო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფის რისკების შემცირების“ ტრენინგის გავლის შესახებ;
5. სსიპ მანდატურის სამსახურის სარეკომენდაციო წერილი -MES 4 230000167244 13/02/2023;
6. სსიპ მანდატურის სამსახური ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის წერილი MES 6 23 0000066310(24/01/2023);
7. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ MIA 62203176956(11/11/2022)
8. სადამრიგებლო პროგრამები და დამრიგებლების ანგარიშები
9. მშობელთა კრების ოქმები
10. თანამშრომლებთან და მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
11. ფსიქოლოგის ვაკანსია https://teacherjobs.ge/61542 https://teacherjobs.ge/61937 .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები, სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდების, მოხსნისა და დისციპლინური სამართალწარმოების ვადები. ასევე განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის განხილვის წესი და ვადები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. განსაზღვრულია გიმნაზიაში ჩარიცხვის და გადაყვანის პირობები, მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესი და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ პირად საქმეში ინახებოდა ის დოკუმენტები, რაც დაწესებულებას აქვს განსაზღვრული შინაგანაწესით. სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია შინაგანაწესში არ გვხვდება, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი წესები და პირობები. მარეგულირებელ დოკუმენტებში არ იკითხება მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის წესები და პირობები, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები. თუმცა მოსწავლეთა პირადი საქმეების დათვალიერებით ჩანს, რომ გიმნაზია კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის სტატუსის შეჩერებას/აღდგენას.

შინაგანაწესში გაწერილია მხოლოდ დისციპლინური საქმისწარმოება და არ გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. რამდენადაც გიმნაზიაში დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი ზომაა „სკოლიდან გარიცხვა“, არ ჩანს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, რომ სკოლიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გარიცხვის შემთხვევაში სხვა სკოლაში გადასვლის შესაძლებლობის თაობაზე. გაცდენების შესახებ მოსალოდნელ შედეგებზე საუბარია სასკოლო სასწავლო გეგმაში, მიზანშეწონილია მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც მოიცავდეს გაცდენების გაცდენების შესაძლო შედეგების შესახებ ინფორმაციას. მშობლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აღნიშნულ საკითხზე მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები სრულყოფილად არ მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.) მოსაწესრიგებლად დაწესებულებამ შეიმუშავა „შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი-ში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (გიმნაზიის დირექტორის 22 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებული).(არგუმენტირებული პოზიციის დანართი N6). ამავე ინდიკატორით დაფიქსირებული იყო, რომ შინაგანაწესში გაწერილია მხოლოდ დისციპლინური საქმისწარმოება და არ გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. რამდენადაც გიმნაზიაში დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი ზომაა „სკოლიდან გარიცხვა“, არ ჩანს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, რომ სკოლიდან გარიცხვის შემთხვევაში სხვა სკოლაში გადასვლის შესაძლებლობის თაობაზე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გათვალისწინებული იქნა ექსპერტების პოზიცია. შინაგანაწესში შეტანილია ცვლილებები „სკოლიდან გარიცხვის“ შესახებ, წახალისებისა და პასუხისმგებლობების სახეები და მათი გამოყენების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცვლილება შინაგანაწესში განხორციელებულია და დამტკიცებულია გიმნაზიის დირექტორის 2023წლის 22 მაისის N04/25 ბრძანებით (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N7).

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

   გიმნაზიის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები. დამრიგებლის პორტფოლიოში განთავსებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში ხდება მშობლების ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი წესების შესახებ. მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმასა და გიმნაზიის შინაგანაწესს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. ამდენად მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები იყოს მარტივად აღსაქმელი, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. წარმოდგენილი შინაგანაწესის ზოგიერთი საკითხი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. 35-ე მუხლით განსაზღვრული „პირადი გასინჯვა“ შეიცვალა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებით, ეს საკითხო გიმნაზიას გაწერილი აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ დებულებაში, შინაგანაწესის 36-ე მუხლის მიხედვით, შრომის დაცვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის N28/ნ ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულია. ამჟამად ამ საკითხებს არეგულირებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №06/ნ - ბრძანებით დამტკიცებული, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. გამჭვირვალეობის პრინციპი დარღვეულია დისციპლინური საქმისწარმოების დროს.

გიმნაზიის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ 2023 წლის 22 მარტს მომხდარის შესახებ (მოსწავლე ნ.ნ-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა მოსწავლისაგან თ.ნ.) კლასის დამრიგებლის მიერ იყო ინფორმირებული, რის შემდეგაც გაესაუბრა მოსწავლეს. მოსწავლე ნ.ნ. ღელავდა, ნერვიულობდა და სთხოვდა სკოლის დირექტორს და კლასის დამრიგებელს მშობლებისათვის არაფერი ეთქვა ამ ინციდენტის შესახებ, რადგან მშობელი (განსაკუთრებით მამა) ინერვიულებდა, აღელდებოდა და უსაყვედურებდა. მასწავლებელმა ურჩია ნ.ნ-ს გაკვეთილზე ყოფილიყო, დამშვიდებულიყო და შემდეგ წასულიყო შინ, რომ მშობელს არ შეემჩნია მისი ნერვიულობა. ინციდენტის შემდეგ სკოლის დირექციამ დაიბარა მოსწავლე თ.ნ.-ს და მოსწავლე ლ.მ.-ს მშობლები. გიმნაზიის დირექტორმა წარმოადგინა, ბრძანება მოსწავლეების (თ.ნ. და ლ.მ.) 5 დღით სკოლიდან დათხოვნის შესახებ.

ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იყო ინციდენტთან დაკავშირებული საკითხის მოკვლევის დოკუმენტაცია, მაგრამ გარდა დამრიგებლის განცხადებისა (N1/16, 22/03/2023) და ბრძანებისა (N03/07, 22/03/2023) არაფერი იყო წარმოდგენილი, არც მოსწავლეების ახსნა-განმარტება, არც გადაწყვეტილების შესახებ მშობლების მიერ ბრძანების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაცნობის ფაქტის შესახებ ინფორმირება. თუმცა გიმნაზიის ადმინისტრაცია განმარტავს, რომ ზეპირად ყველა პროცედურა გავლილი იყო.

მოსწავლეს შეეფარდა ისეთი დისციპლინური სახდელი, რომელიც სკოლას განსაზღვრული არ აქვს-,,5 დღით სასწავლო პროცესს ჩამოშორება“. ასევე არ ჩანს რომელი დისციპლინური გადაცდომის დროს რა სახდელია განსაზღვრული. შინაგანაწესის 30-ე მუხლით განსაზღვრული „მოსწავლისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდება“-ში განხილული საკითხები ბუნდოვანია. მაგალითად, შინაგანაწესში, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი საერთოდ არ არსებობს. მაგრამ არის ასეთი ჩანაწერი, რომ ***„29-ე მუხლის მე–3 პუნქტის ა, ბ, დ, ე ქვეპუნქტებით გათვალისწინებულია დისციპლინური სახდელი, მაგრამ სახდელების ჩამონათვალში მხოლოდ ა) წერილობითი გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) გიმნაზიისთვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება; დ) მოსწავლის გიმნაზიიდან გარიცხვა; (საშუალო საფეხური) პუნქტებია“***

ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ არ არის გამჭვირვალე. მაგალითად, შინაგანაწესის ზოგიერთი საკითხი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გამჭვირვალეობის პრინციპი დარღვეულია დისციპლინური საქმისწარმოების დროს. მოსწავლეს შეეფარდა ისეთი დისციპლინური სახდელი, რომელიც სკოლას განსაზღვრული არ აქვს-,,5 დღით სასწავლო პროცესს ჩამოშორება“. ასევე არ ჩანს რომელი დისციპლინური გადაცდომის დროს რა სახდელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაზღვრული.) აღმოსაფხვრელად სკოლის შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს ამ ინდიკატორის შესაბამისობას. ცვლილება შინაგანაწესში განხორციელებულია და დამტკიცებულია გიმნაზიის დირექტორის 2023წლის 22 მაისის N04/25 ბრძანებით (არგუმენტირებული პოზიციის დანართი N7).

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

   მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობა/დაუძლეველი ძალა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. ხელშეკრულების მე-5 მუხლი არეგულირებს სწავლის ღირებულების ანგარიშსწორების პირობებს და ვადებს, მათ შორის სწავლის ღირებულების ვადაგადაცილების შემთხვევას. ხელშეკრულების ჩანაწერის მიხედვით, სკოლა უფლებამოსილია ,,ზოგადი განათლების“ კანონის საფუძველზე მოსწავლეს შეუწყვიტოს სტატუსი, ხოლო ,,დამკვეთი“/მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანა და დავალიანების დაფარვა. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულია მხოლოდ სკოლის უფლებები და არაფერია ნათქვამი კერძო სკოლის ვალდებულებებზე ფინანსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალიანების შემთხვევაში მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისას, რაც ასევე განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების“ კანონით.

ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ არის მკაფიო და გამჭვირვალე. მაგალითად, ხელშეკრულება არეგულირებს სწავლის ღირებულების ანგარიშსწორების პირობებს და ვადებს, მათ შორის, სწავლის ღირებულების ვადაგადაცილების შემთხვევას. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულია მხოლოდ სკოლის უფლებები და არაფერია ნათქვამი კერძო სკოლის ვალდებულებებზე ფინანსური დავალიანების შემთხვევაში მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისას) აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ შეიმუშავა „შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი-ში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (გიმნაზიის დირექტორის 22 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებული).(არგუმენტირებული პოზიციის დანართი N6).

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გიმნაზიის შინაგანაწესი;
2. დამრიგებლის პორტფოლიო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. გიმნაზიის ვებგვერდი;

4. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

შინაგანაწესის 34-ე მუხლი არეგულირებს მოსწავლის გიმნაზიაში ჩარიცხვასა და კლასიდან კლასში გადაყვანის პირობებს. ვებგვერდზე განთავსებულია პირველკლასელთა და გიმნაზიაში სწავლის მსურველთა მიღების სარეგისტრაციო ფორმები და ეტაპები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადაც ასევე გაწერილია, კერძო სკოლების და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლების მიერ დადგენილი ბარიერის ვერ დაძლევის შემთხვევაში, მოსწავლის უფლებაა სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მიღებული აქვს ჩათვლა სპორტსა და არჩევით საგნებში. მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები არცერთი მარეგულირებელ დოკუმენტში არ იკითხება. მხოლოდ მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაშია საუბარი მოსწავლის სტატუსის შეწყვეტაზე, რასაც ადგილი აქვს ფინანსური დავალიანების დროს.

ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (არ არის შემუშავებული მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები და პირობები) მოსაწესრიგებლად დაწესებულებამ შეიმუშავა „შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი-ში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“ (გიმნაზიის დირექტორის 22 მაისის N04/22 ბრძანებით დამტკიცებული).(არგუმენტირებული პოზიციის დანართი N6).

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

   მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

   გიმნაზიის ვებგვერდზე განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სკოლის მიერ შეთავაზებული სავალდებულო და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახეები. ვებგვერდზე სიახლეების ზოლში და ფოტო გალერეაშია განთავსებული სკოლის ცხოვრების ამსახველი მასალები. სკოლის შენობაში, საკლასო ოთახებში გამოფენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტები. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია ასაკის შესაბამისი აქტივობები და სწავლის დასაწყისში ხორციელდება მშობლის ინფორმირება. ვებგვერდზე განთავსებული ყველა თემატური ბლოკი არ არის მოქმედი, რაც ზღუდავს ამ თემის შესახებ ინფორმაციის მიღებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას მიეცა რჩევა: უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებული ყველა თემატური ბლოკის მუშაობა.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში. მშობლები ინფორმირების ძირითადად წყაროდ დამრიგებელს ასახელებენ ან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმართავენ დირექტორს/ადმინისტრაციის წარმომადგენელს. ვინაიდან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან მოყვანას, შესაძლებელია გაცემული ინფორმაცია იყოს არასწორი და/ან საჭიროებდეს დაზუსტებას.

   ინდიკატორით დაფიქსირებულ ხარვეზის (სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან მოყვანას, შესაძლებელია გაცემული ინფორმაცია იყოს არასწორი და/ან საჭიროებდეს დაზუსტებას) აღმოსაფხვრელად განახორციელა ცვლილებები არსებულ დოკუმენტაციაში. ასევე სკოლის ვებგვერდზე ყველა თემატური ბლოკი გააქტიურებულია.

   ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. შინაგანაწესი;
3. გიმნაზიის ვებგვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

   შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის შემუშავებული ცალკე დოკუმენტად მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი შემუშავებული არ აქვს, თუმცა შინაგანაწესის მუხლი 28-ში გაწერილია რომ მოსწავლე უნდა იცნობდეს გიმნაზიის მიერ დადგენილ ნორმებს მოსწავლის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, ჩართული უნდა იყოს სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომი იყოს მისთვის ყველა სახის საგანმანათლებლო რესურსი, თუ სასწავლო სივრცე. იგივე საკითხები გათვალისწინებულია გიმნაზიის თითოეული კლასის სადამრიგებლო პროგრამაში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დაწესებულებას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი ერთ დოკუმენტად, რათა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (ადმინისტრაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გაუადვილდეს მისი როლის დანახვა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. სასურველია გიმნაზიის მიერ გათვალისწინებული გათვალისწინებული იყოს ახალი მოსწავლის (ნებისმიერი კლასის) სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ ვინ და რა პროცედურები უნდა განახორციელოს, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს ახალ გარემოში ადაპტირება.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ როდესაც გიმნაზიაში მოდის ახალი მოსწავლე, დამრიგებელი წარადგენს მას კლასის წინაშე და აღნიშნავს რომ უხარიათ მისი გადმოსვლა. შემდეგ შესვენებებზე მოსწავლეები თვითონ ათვალიერებინებენ სკოლის შენობას, უხსნიან სასკოლო წესებს, აცნობენ სხვა კლასის მოსწავლეებს. უყვებიან პროექტებსა და აქტივობებზე, რომელიც სკოლაში ხორციელდება. ეს ყველაფერი სასკოლო კულტურის დაუწერელი წესია. რამდენიმე მოსწავლის თქმით, როდესაც სკოლაში გადმოვიდნენ მათ მიმართ გულისხმიერება გამოავლინეს და აქედან გამომდინარე ისინიც ახლად გადმოსულ მოსწავლეებზე ზუსტად ასევე იზრუნებენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტუტორ დამრიგებლის ფუნქციებში გიმნაზიის დებულების მე-18 მუხლში გაწერილია, რომ დამრიგებელი ვალდებულია დაეხმაროს მოსწავლეებს აკადემიური თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში. იგი პერიოდულად ეკითხება სხვა მასწავლებლებს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დგება საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის ინდივიდუალური მეცადინეობების გეგმა. რაც შეეხება დაწყებითი კლასის მოსწავლეებს მათთვის მეცადინეობა გათვალისწინებულია გახანგრძლივებული დღის ჯგუფში, სადაც ინდივიდუალურად ითვალისწინებს პედაგოგი თითოეული მოსწავლის საჭიროებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

   მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

   გიმნაზიის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ გიმნაზიაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას მიმართავს ხოლმე ინიციატივებით, რომელიც ძირითადად მხარდაჭერილია.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

   გიმნაზიის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მოსწავლეების უკუკავშირის შემდგომ დაწესებულება ითვალისწინებს სურვილებს, რეკომენდაციებს, რაც აისახება შემდგომ განხორციელებულ აქტივობებში. ერთ-ერთი მაგალითად მოიყვანეს 2021-2022 სასწავლო წლის დასრულებისას, მოსწავლეთა თვითმმართველობის მოხსენება/პრეზენტაცია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. დებულება;
2. შინაგანაწესი;
3. შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები;
4. ინტერვიურება მშობლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სადამრიგებლო პროგრამების გაცნობისა და ტუტორებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული ორიენტაცია გიმნაზიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია აქტივობები, რომელიც პროფესიების გაცნობას, ემსახურება. გიმნაზიაში მოდიან სხვადასხვა პროფესიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმომადგენლები, რომლებიც თავისი პროფესიის არჩევის, გამოწვევების, წარმატებების შესახებ ესაუბრებიან მოსწავლეებს. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების/შეხვედრების განრიგია (შესარჩევი თემებით და მიმართულებებით) წარმოდგენილი, რომელიც IX და XI კლასებში 2022-2023 სასწავლო წელს დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის გაკვეთილები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს და დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიის სწორად არჩევასა და კარიერის დაგეგმვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მეთერთმეტე კლასიდან მოსწავლეები ეცნობიან საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეთავაზებებს. დაწესებულება აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ, გიმნაზიაში ასევე ხორციელდება შეხვედრები უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, რომლებიც აცნობენ მოსწავლეებს თავის ფაკულტეტებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციას. მოსწავლეები წინასწარ ერთვებიან სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ ტესტირებებსა და კონკურსებში, რის საფუძველზეც ეძლევათ ხოლმე შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

   სკოლის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით კითხვები არ იყო დაფიქსირებული, თუმცა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობენ იმ უნივერსიტეტების მოწვევას, რომელიც მოსწავლეთათვის უფრო მნიშვნელოვანია.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დაწესებულებას მიეცა რჩევა: აღნიშნული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით მოახდინოს მომსახურების შეფასება(გამოკითხვები მშობლების, მასწავლებლების, მოსწავლეების), რათა პროცესებში გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სადამრიგებლო პროგრამები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მოსწავლეთა პრეზენტაციები;
3. ინტერვიუირება მშობლების, მასწავლებლების, მოსწავლეების.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

   შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კონცეფციაში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

   - ინკლუზიური განათლება;
   - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (რა მოიაზრება ცნებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე; რა პროცედურებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება; სკოლის ვალდებულება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება; როგორ უნდა მოახდინოს მოსწავლისთვის ესგ-ს მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება.);

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (რა არის ისგ; რის საფუძველზე ხდება ისგ-ს შემუშავება; მოსწავლის რა საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს ისგ; რას ნიშნავს ისგ ჯგუფი; ისგ ჯგუფის ფუნქციები; რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ისგ.);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი (ისგ ჯგუფის ფუნქციები; მონიტორინგის პროცესი.);
- სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები
- სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება (რა შემთხვევაშია დასაშვები შინ სწავლება; ვინ იღებს გადაწყვეტილებას; რა პროცედურებია საჭირო შინ სწავლების უზრუნველყოფისათვის).

ინკლუზიური განათლების კონცეფცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე არ ირიცხება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად არის წარმოდგენილი, ხოლო სსსმ მოსწავლის წინსვლისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარების მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის ინკლუზიური განათლების კონცეფციაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების კონცეფცია (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა).
2. ინტერვიუირება ადმინისტრაციასთან.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურების შესახებ ჩანაწერი არის სასკოლო სასწავლო გეგმის მე-10 მუხლში. დამატებით არასავალდებულო მომსახურების სახით გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს ფაკულტატურის ტუტორ/დამრიგებლის მომსახურების სახით, ცეკვას და ცურვას, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მომსახურება შედის საერთო მომსახურების ღირებულებაში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

   შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის მიერ წარმოდგენილი მომსახურება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, რაც თავის მხრივ პედაგოგიური საბჭოს მიერ არის განხილული და შეთანხმებული.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

   წარმოდგენილი დამატებითი არასავალდებულო მომსახურების სახით განსახორციელებელი აქტივობები არ საჭიროებს განსაკუთრებული უფლებების მოპოვებას. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით, როგორც მთლიანად სკოლაში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 1. 05/09/2022.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

....02/06/2023...

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---